



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

PROCEEDINGS OF THE ACADEMY OF SCIENCES

OF GEORGIA

784-1/  
1992/2

ქიმიკი

სერია  
СЕРИЯ

ХИМИЧЕСКАЯ

1992 N3

თბილისი • თბილ  
- ТБИЛИСИ - ТОМ  
ТБИЛИСИ • ТОМ  
TBI LISI • VOL

18

1. ჟურნალში „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია“ იბეჭდება წერილები ძირითადად ქართულ და რუსულ ენებზე, რომლებშიც ასახულია თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევათა შედეგები თანამედროვე ქიმიისა და ტექნოლოგიის მიმართულებათა მიხედვით და მიმოხილვითი სამეცნიერო წერილები.

პერიოდულად თავსდება ქრონიკა რესპუბლიკაში ჩატარებული კონფერენციების, თათბირების, სემინარებისა და სხვა სამეცნიერო-საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ.

2. წერილის მოცულობა ცხრილებით, ნახატებით (სამი ნახატი უტოლდება ერთ გვერდს), ნახატების ქვემო წარწერებით, დამოწმებული ლიტერატურის ნუსხით, რეზიუმეებით (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 12 გვერდს, 3 სმ სივანის მინდვრით მარცხენა კიდეზე.

რეზიუმეები, ლიტერატურის ნუსხა, დასათაურებული ცხრილები და ნახატების ქვეწარწერები სრულდება ცალ-ცალკე ფურცელზე.

3. მოკლე წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 4 გვერდს. წერილი შეიძლება ილუსტრირებული იყოს 1—2 ნახატით. მას თან უნდა ერთვოდეს რეზიუმეები.

4. სამუშაო უნდა წარმოდგინდეს ორ ცალად, მას უნდა ახლდეს დაწესებულების ნებართვა, სამეცნიერო საბჭოს (კათედრის, განყოფილების, ლაბორატორიის) გადაწყვეტილება მის გამოქვეყნებაზე, საექსპერტო კომისიის დასკვნა.

პირველ გვერდზე ზემო მარცხენა კუთხეში თავსდება უნივერსალური ათობითი კლასიფიკაციის ინდექსი, ხოლო ზემო მარჯვენა კუთხეში კი მიეთითოს ჟურნალის განყოფილება, ტექსტს უნდა უძღვოდეს ავტორთა ინიციალები, გვარები და წერილის დასახელება. სტატიის ბოლოს, მარცხნივ—დაწესებულება, სადაც შესრულდა შრომა. წერილს ხელს აწერს ყველა ავტორი. წერილის ბოლოს სრულად უნდა იყოს აღნიშნული ავტორთა სახელი, მამის სახელი და გვარი, ბინისა და სამსახურის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

5. ექსპერიმენტულ ნაწილს წინ ერთვის მოკლე შესავალი, რომელშიც ასახულია სამუშაოს მიზანი, მხოლოდ მას შემდეგ მიღებული შედეგების განხილვა და დასკვნა. ცხრილები უნდა დასათაურდეს.

6. ფორმულები და ასოითი აღნიშვნები ჩაიწეროს გარკვევით, შავი მელნით ან ტუშით. ყურადღება მიექცეს ინდექსებისა და ხარისხის მაჩვენებლების გამოსახვას. მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს ლათინური და ბერძნული ანბანის მთავრული და ნუსხური ასოები.

7. ნახატები უნდა შესრულდეს თეთრ ქაღალზე ან კალკაზე ტუშით. ყველა ნახატს უკანა მხარეს ფანქრით უნდა ეწეროს ავტორთა გვარები და სტატიის სათაური. ნახატები და ცხრილები წარმოდგება ორ ეგზემპლარად.

8. დამოწმებული ლიტერატურა იბეჭდება ცალკე ფურცელზე. ავტორთა გვარები წერილის ტექსტში მოცემული უნდა იყოს ძირითად ტექსტის, ხოლო ლიტერატურის ნუსხაში კი ორიგინალის დაწერილობით. დაცული ოქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი, ინიციალები, თუ დამოწმებულია საყურნალო შრომა, ვუჩვენოთ ჟურნალის სახელწოდება, გამოცემის წელი, ტომი, ნომერი და გვერდები; თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვუჩვენოთ მისი სახელწოდება, ქალაქი, გამომცემლობა, წელი და გვერდები. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს დამოწმების შესაბამისი თანმიმდევრობით. გამოუქვეყნებელ მასალების ციტირება (გარდა დისერტაციებისა) დაუშვებელია.

9. ფიზიკური ერთეულების აღნიშვნა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ერთეულების სისტემას.

10. ხელნაწერები, რომლებიც არ პასუხობენ აღნიშნულ პირობებს, რედკოლეგიის მიერ არ მიიღება.

11. ჟურნალში წერილები იბეჭდება რედაქციაში შემოსვლის რიგის მიხედვით. თუ წერილი მოითხოვს გადამუშავებას, მისი რიგი იკარგება და წერილი შესწორების შემდეგ ახალი რიგით იბეჭდება. ჟურნალის ერთ ნომერში შეიძლება დაიბეჭდოს ავტორის ერთი სტატია და ერთი მოკლე წერილი.

12. რედაქცია ავტორს უთანხმებს კორექტურას. ავტორს უფლება აქვს შეასწოროს მხოლოდ სტამბის შეცდომები.

ავტორს უფასოდ ეძლევა წერილის 12 ამონაბეჭდი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე  
(Сакартвелос მეцნიერებათა академиის мацне)  
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ



# ქიმიის სერია СЕРИЯ ХИМИЧЕСКАЯ

ტომი 18, № 3  
Том

ჟურნალი დაარსდა 1975 წლის იანვარში  
Журнал основан в январе 1975 года

გამოდის წელიწადში 4-ჯერ  
Выходит 4 раза в год

თბილისი  
ТБИЛИСИ

„მეცნიერება“  
«МЕЦНИЕРЕБА»

1992

Известия АН Грузии, серия химическая  
(на грузинском, русском и английском языках)

© Известия АН Грузии  
Серия химическая, 1992

რედაქციის მისამართი:

380060, თბილისი-60, კუტუზოვის ქ. 19, ოთახი 18  
ტელ. 37-86-78

Адрес редакции:

380060, Тбилиси 60, Кутузова 19, Комната 18  
тел. 37-86-78

Корректор Б. Григалашвили

Сдано в набор 27.07.92. Подписано в печать 04.12.92

Формат 70×108<sup>1/16</sup>. Вумага № 1. Высокая печать.

7,0 усл.-печ. л., 7,53 кр.-отг. 5,8 уч.-изд. л.

Тираж 1280 экз.

Заказ 865

Цена 2 р. 50 коп.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

სარედაქციო კოლეგია

თ. ანდრონიკაშვილი (რედაქტორი), თ. აგლაძე, ა. ავალიანი, ი. ბარათაშვილი,  
ფ. ბროუჩეკი (სწავლული მდივანი), გ. გველესიანი, ვ. ერისთავი, შ. სიღამონიძე,  
ე. ქემერტელიძე, გ. ცაგარეიშვილი, გ. ცინცაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. ცი-  
ციშვილი, ლ. ხანაშვილი, კ. ჯაფარიძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჯაფარიძე

პასუხისმგებელი მდივანი ვ. შუბლაძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Т. Г. Андроникашвили (редактор), Т. Р. Агладзе, А. Ш. Авалиани,  
И. Б. Бараташвили, Ф. И. Броучек (ученый секретарь), Г. Г. Гвелеси-  
ани, К. Г. Джапаридзе (зам. редактора), Л. Н. Джапаридзе, Э. П. Ке-  
мертелидзе, Ш. И. Сидамонидзе, Л. М. Хананашвили, Г. В. Цицишвили,  
Г. В. Цинцадзе (зам. редактора), Г. В. Цагареишвили, В. Д. Эристави.

Ответственный секретарь В. В. Шубладзе

EDITORIAL BOARD

T. G. Andronikashvili (Editor), T. G. Agladze, A. Sh. Avaliani, I. B.  
Baratashvili, F. I. Brouchek (Scientific Secretary), G. G. Gvelesiani, K. G.  
Japaridze (Associate Editor), L. N. Japaridze, E. P. Kemertelidze, Sh. I.  
Sidamonidze, L. M. Khana nashvili, G. V. Tsitsishvili, G. V. Tsintsadze  
(Associate Editor), G. V. Tsagareishvili, V. D. Eristavi

Executive Secretary V. V. Shubladze

არამორბანული და ანალიზური ჰიმიკა

ციტიკოშვილი მ., შველაშვილი ა., მიქაძე ი., ჭრელაშვილი მ. გარ- დაშვალა ლითონების სხვადასხვალიგანდიანი კომპლექსნაერთები სალიცილის მეფასთან და სულფანილამიდებთან . . . . .	167
კონიაშვილი ს., ბუაძე რ., ულბერგი ზ. მეტალოპოლიმერული დანაფარები კალა-სპილენძის შენადნობის საფუძველზე . . . . .	185
რუხაძე შ., გაფრინდაშვილი ვ., ფულარია ი. ბარიუმის სულფიდური სხნარისა და ნახშირმეფა გაზის ურთიერთქმედების პროცესის კინეტიკის გა- მოკვლევა . . . . .	192
ამირხანაშვილი კ., ანდრონიკაშვილი თ., გლაზირინი ე. ქრომა- ტოგრაფიული ექსპერიმენტის ავტომატიზაცია. 1. ქრომატოგრაფიული მონაცემ- ების შეკრების სისტემა ეგმ სმ-1420-ის ბაზაზე . . . . .	197

ორგანული ჰიმიკა

დასვრბერგი ვ., სტერლიგოვი თ., ბორისოვიჩი ი., ბარკოვა ა., ჩივაძე გ., ანტონინი გ., ზედგინიძე რ. პლატინის სისტემების კვლე- ვა თ-ქსილოლის ღრმა დაჟანგვის რეაქციაში . . . . .	203
ბეჟუაშვილი მ., აბულაძე ნ. ვაშლის ანასხლავის ბუნებრივი პოლიმერები და მათი გამოყენების პერსპექტივები . . . . .	208
თაქთაქიშვილი მ., ციციქიშვილი თ., ჟღენტაი კ., გუდავაძე მ. აზო- სადებრები — ნუკლეოტიდების მარკირების ახალი ვარიანტი ოლიგონუკლეოტი- დური სინთეზისათვის . . . . .	218

ფიზიკური ჰიმიკა

ზაგრატიშვილი გ., ნახუცრიშვილი ი., კაციაშვილი მ. ამაკის ურ- თიერთქმედების გამოკვლევა გერმანიუმის ზედაპირთან მიკროაწონვის მეთოდით . . . . .	221
ზოიძე ნ. მრავალკომპონენტური სისტემების ფაზური გარდაქმნების აღწერა კატას- ტროფების თეორიის დახმარებით . . . . .	232
წიკლაური თ., გელოვანი გ., ჯაფარიძე ვ. BF <sub>3</sub> -ის ელექტროდღენა KCl—NaCl-ის — ნალბობის ფონზე . . . . .	238

მოკლე წერილები

მშვილდაძე ვ. ფლავონოიდების რაოდენობა HEDERA HELIX ფოთლებში . . . . .	239
--	-----

# СОДЕРЖАНИЕ



## НЕОРГАНИЧЕСКАЯ И АНАЛИТИЧЕСКАЯ ХИМИЯ

Цкитишвили М. Г., Швелашвили А. Е., Микадзе И. И., Чрелашвили М. В. Разнолигандные комплексные соединения переходных металлов с салициловой кислотой и сульфаниламидами . . . . .	176
Кониашвили С. А., Буадзе Р. О., Ульберг З. Р. Металлополимерные покрытия на основе сплава медь-олово . . . . .	178
Рухадзе В. В., Гаприндашвили В. Н., Пуларгани Ю. И. Исследование кинетики процесса взаимодействия раствора сульфида бария с углекислым газом . . . . .	187
Амирханашвили К. Д., Андроникашвили Т. Г., Глазырин Е. М. Автоматизация хроматографического эксперимента. I. Система бора хроматографических данных на базе ЭВМ СМ-1420 . . . . .	193

## ОРГАНИЧЕСКАЯ ХИМИЯ


Вассерберг В. Э., Стерлигов О. Д., Борисович И. Г., Баркова А. П., Чивадзе Г. О., Антошин Г. В., Зедгинидзе Р. Ш. Исследование платиновых систем в реакции глубокого окисления о-ксилола . . . . .	199
Бежуашвили М. Г., Абуладзе Н. З. Природные полимеры обрезков яблони и перспективы их использования . . . . .	205
Тактакишвили М. О., Цицкишвили Т. К., Жгенти К. А., Гудавадзе М. И. Азокрасители — новый вариант нерадиоактивного мечення нуклеотидов для олигонуклеотидного синтеза . . . . .	218

## ФИЗИЧЕСКАЯ ХИМИЯ

Багратишвили Г. Д., Нахуцришвили И. Г., Кацашвили М. Р. Исследование взаимодействия аммиака с поверхностью германия методом микровзвешивания . . . . .	227
Зондзе Н. А. Приложение теории катастроф к теории фазовых превращений в многокомпонентных системах . . . . .	232
Циклаури О. Г., Геловани Г. А., Джапаридзе В. Д. Электровосстановление $BF_3$ на фоне расплава $KCl-NaCl$ . . . . .	233

## КРАТКИЕ СООБЩЕНИЯ

Мшвилладзе В. Д. Содержание флавоноидов в листьях <i>HEDERA HELIX</i> . . . . .	240
---	-----



# CONTENTS



## INORGANIC AND ANALYTICAL CHEMISTRY

<b>Tskitishvili M. G., Shvelashvili A. E., Mikadze I. I., Chrelashvili M. V.</b> Differential ligands complex compounds of transition metals with salicylic acid and sulphanilamides . . . . .	176
<b>Koniashvili S. A., Buadze R. O., Ulberg Z. R.</b> Cooper-tin alloy base metal polymer coating . . . . .	185
<b>Rukhadze V. V., Gaprindashvili V. N., Pulariani Yu. I.</b> The investigation of kinetics of the interaction process of barium sulphide with carbon dioxide . . . . .	192
<b>Amirkhanashvili K. D., Andronikashvili T. G., Glazirin E. M.</b> Automation of chromatographic experiments. The system of chromatographic data collecting on the base of CM-1420 type computer . . .	198

## ORGANIC CHEMISTRY

<b>Vaserberg V. E., Sterligov O. D., Borisovich I. G., Barcova A. P., Chivadze G. O., Antoshin G. V., Zedgenidze R. Sh.</b> Investigation of platinum systems in the reactions of deep oxidation of O-xylene . . . . .	203
<b>Bezhuashvili M. G., Abuladze N. Z.</b> Natural polymers of apple trimming and the perspective of their use . . . . .	208
<b>Taktakishvili M. O., Tsitskishvili T. K., Jgenti K. A., Gudavadze M. I.</b> Azoic dyes — a new version of non-radioactive labelling of nucleotides for oligonucleotides synthesis . . . . .	209

## PHYSICAL CHEMISTRY

<b>Bagratishvili G. D., Nakhutsrishvili I. G., Katsiashvili M. R.</b> The investigation of the interaction of ammonia with germanium surface by microgravimetric method . . . . .	226
<b>Zoidze N.</b> Application of catastrophe theory to the theory of phase transformation in multicomponent systems . . . . .	27
<b>Tsyclauri O. G., Gelovani G. A., Japaridze V. D.</b> Electroreduction of $BF_3$ in $KCl-NaCl$ melt . . . . .	238

## SHORT COMMUNICATIONS

<b>Mshvildadze V. D.</b> Content of flavonoides in the leaves of <i>Hedera Helix</i> .	240
--	-----



## არაორგანული და ანალიზური ქიმია


№ 541.49:546.7

მ. ცაიტიშვილი, ა. შველაშვილი, ი. მიქაძე, მ. ზრევალი

 გარდამავალი ლითონების სხვადასხვალიგანდიანი  
 კომპლექსნაერთები სალიცილის მჟავასთან და  
 სულფანილამიდებთან

სალიცილის მჟავა ( $H_2Sal$ ) წარმოადგენს ფარმაკოპეულ პრეპარატს, რომელიც გამოიყენება როგორც ანტისეპტიკური საშუალება სოკოვანი და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. ფიზიოლოგიურ აქტივობას იჩენენ, აგრეთვე, სალიცილის მჟავას მარილები ლითონებთან. მაგალითად, Na-ის — რევმატიზმის საწინააღმდეგოდ Mg-ის — სტენოკარდიისა და გულსისხლძარღვთა მკურნალობისათვის [1], Cu-ის — ფუნგიციდად [2, 3], ანალიზში [4], კატალიზატორად [5, 6], Ag-ის — კატალიზატორად [7].

როგორც ცნობილია, სხვადასხვალიგანდიანი ნაერთები ხშირ შემთხვევაში მეტ აქტივობას ამჟღავნებენ, ვიდრე ერთგვაროვანი ნაერთები. მაგალითად, მიღებულია სალიცილის მჟავასთან Mg, Cd, Zn, Mn სხვადასხვა შედგენილობის სხვადასხვალიგანდიანი ნაერთები პირიდინთან, 2-პირიდინ-აზო-რეზორცინთან, აცილალანინთან, დიპირიდოლთან, ტრიბუთილფოსფატთან, ხინოლინთან, რომელთაგან  $Cu(HSal)$  (ხინოლინი)· $nH_2O$  ფუნგიციდია, ხოლო  $Mg(HSal)$  (ხინოლინი)· $nH_2O$ -ს იყენებენ მედიცინაში, როგორც ტკივილგამაყუჩებელს, სიცხის დამწვევს, ანთებისა და რევმატიზმის წინააღმდეგ [2, 8], Cu-ის სალიცილატი აცილალანინთან ფორმულით



გამოიყენება ფუნგიციდად კარტოფილის ფიტოფტოროზის და ცრუ ნაცრის წინააღმდეგ [3]. ამიტომ გარდამავალი ლითონების სხვადასხვალიგანდიანი ნაერთების მიღება და შესწავლა ისეთ ლიგანდებთან, როგორიცაა სალიცილის მჟავა და სულფანილამიდები, წარმოადგენს აქტუალურ საკითხს.

წინამდებარე შრომა ეხება სალიცილის მჟავასთან და სულფანილამიდებთან (LH, SH, FH, RH) გარდამავალ ლითონთა სხვადასხვალიგანდიანი კომპლექსნაერთების მიღებასა და შესწავლას.

სალიცილის მჟავასთან და სულფანილამიდებთან სხვადასხვალიგანდიანი ნაერთების მიღების მიზნით ჩატარებულია შემდეგი რეაქციები:

1.  $M(HSal)_2 + AH$
2.  $MA_2 + H_2Sal$
3.  $MX_2 + H_2Sal + AH$

(LH — ნორსულფაზოლი, SH — სულფადიმეზინი, FH — სულფადიმეტოქსინი, RH — სულფაპირიდაზინი, AH — სულფანილამიდი ზოგადად).


1.  $M(\text{HSal})_2 + \text{AH} \rightarrow M(\text{HSal})_2 \cdot n\text{H}_2\text{O}$  ( $M = \text{Cu, Co, Ni, Mn, Zn, Cd}$ )  
 მყარ მდგომარეობაში დავამატეთ სულფანილაზიდი (AH) გახსნილი 20 მლ წყალში 5 მლ კონც. ამიაკის დამატებით (მოლური შეფარდება  $M(\text{HSal})_2 : \text{AH} = 1 : 1$ ).  $M(\text{HSal})_2$  თანდათან გარდაიქმნა სხვა ფერის ნაერთად. დაეყოვნეთ, გავფილტრეთ ჩავრეცხეთ წყლითა და სპირტით, გავაშრეთ ჰაერზე.

2.  $\text{MA}_2 + \text{H}_2\text{Sal} \rightarrow \text{MA}_2 \cdot n\text{H}_2\text{O}$  ( $M = \text{Cu, Co, Ni, Mn, Zn, Cd}$ ;  $\text{A}^- = \text{S}^-, \text{F}^-, \text{L}^-, \text{R}^-$ ) გავხსენით 20—40 მლ დიმეთილფორამიდში გაცხელებით. ცალკე  $\text{H}_2\text{Sal}$  (მოლური შეფარდება 1 : 1) გავხსენით 15 მლ წყალში ~ 5 მლ კონც. ამიაკის დამატებით. ხსნარების შერევის შემდეგ სხვადასხვა დროის განმავლობაში გამოიყო ნაერთები, რომლებიც გავფილტრეთ, ჩავრეცხეთ წყლით და სპირტით, გავაშრეთ ჰაერზე.

3.  $\text{MX}_2 + \text{H}_2\text{Sal} + \text{AH} \rightarrow \text{MSO}_4$  ( $M = \text{Co, Cu, Ni, Mn, Zn, Cd}$ ) გავხსენით 15 მლ წყალში. ცალკე  $\text{H}_2\text{Sal}$  და AH (SH, FH, LH, RH)-ის ნარევი გავხსენით 20 მლ წყალში ~ 5 მლ კონც. ამიაკის დამატებით. ხსნარების შერევისთანავე გამოიყო ნალექი. დაეყოვნეთ მეორე დღემდე, გავფილტრეთ, ჩავრეცხეთ წყლით და სპირტით, გავაშრეთ ჰაერზე. მოლური შეფარდება იყო  $M : \text{H}_2\text{Sal} : \text{AH} = 1 : 1 : 1$ .

სამივე შემთხვევაში თითოეული ლითონისათვის მიიღებოდა ერთი და იგივე ფერის ნაერთი შედგენილობით  $\text{MHSalA} \cdot n\text{H}_2\text{O}$  ( $\text{Cu} — \text{მწვანე, Ni} — \text{ცისფერი, Co} — \text{იასამნისფერი, Mn} — \text{ღია ყავისფერი, Zn და Cd} — \text{თეთრი}$ ).

ჰიდრატირებულ კომპლექსებში წყლის შემცველობა შესწავლილ იქნა ნაერთის თერმოსტატში გაცხელებით მუდმივ წონამდე მიყვანივით. აღმოჩნდა, რომ



ნახ. 1.  $\text{NiHSal F} \cdot 4\text{H}_2\text{O}$ -ის თერმოგრამა


ამ ნაერთთა გაუწყობება მიმდინარეობს ორ სხვადასხვა ( $100—120^\circ$  და  $180^\circ$ ) ტემპერატურაზე, რაც, ალბათ, წყლის განსხვავებულ ბუნებაზე მიუთითებს.  $100—120^\circ$ -ზე დაკარგული წყალი შეიძლება ჩაითვალოს კრისტალიზაციურ წყლად, ხოლო უფრო მაღალ ტემპერატურაზე დაკარგული — კოორდინაციულად ბმულად. Ni, Cu, Co და Mn-ის ნაერთებში შედის ორივე ბუნების წყალი, ხოლო Zn და Cd-ის ნაერთებში — მხოლოდ ერთი ბუნებისა.

MHSalF·nH<sub>2</sub>O-ის ტიპის ნაერთები წყალში ცუდად იხსნებიან, არაელექტრო-  
ლიტებია. ხსნარების pH - 7,3 = 8,2; ხვედრითი წონა—1,660—1,965,  $\xi$  დაშლ.—  
—210—300°.

უნგრული სისტემის დერივატოგრაფზე შესწავლილია NiHSalF·4H<sub>2</sub>O და  
ZnHSalF·2H<sub>2</sub>O-ის თერმული მდგრადობა. გახურების სიჩქარეა 5 გრად/წთ, წონა  
ნაი — 62—95 მგ.

NiHSalF·4H<sub>2</sub>O-ის თერმოგრამა გვიჩვენებს, რომ თერმოლიზის პირველი  
საფეხურია დეჰიდრატაცია. წყლის მოლეკულები ნაერთს ორ სხვადასხვა ტემ-  
პერატურაზე (95° და 140°) სცილდებიან ენდოფექტების დროს. თერმოლიზის  
შემდეგი საფეხურია დაშლა — 380° და 480°-ზე შესაბამისად სცილდება ჯერ  
სულფადიმეტოქსინის, შემდეგ სალიცილის მჟავას მოლეკულები. დაშლის სა-  
ბოლო პროდუქტია ნიკელის ოქსიდი (ნახ. 1).


ZnHSalF·2H<sub>2</sub>O-ის თერმოგრამის მიხედვით ნაერთი ერთ ენდოფექტზე  
(85°) კარგავს წყლის ორ მოლეკულას, შემდეგ კი ეგზოფექტებზე (370° და  
470°) თანმიმდევრობით სულფადიმეტოქსინის და სალიცილის მჟავას მოლეკუ-  
ლებს. დაშლის საბოლოო პროდუქტია თუთიის ოქსიდი (ნახ. 2).



ნახ. 2. ZnHSal F·2H<sub>2</sub>O -ის თერმოგრამა

ნაერთთა დეჰიდრატაცია და ლითონთა ოქსიდებამდე დაშლა მტკიცდება  
უწყლო ნაერთებსა და დაშლის საბოლოო პროდუქტებში ლითონის ოდენობის  
განსაზღვრით.

ზემოაღნიშნული ნაერთების დაშლა შეიძლება გამოისახოს შემდეგი სავა-  
რაუდო სქემით:



MHSaIF·nH<sub>2</sub>O-ის თერმული მდგრადობა\*


ნაერთი	დეჰიდრატაცია					დაშლა			
	t <sub>გაშ.</sub> , °C		მასის დანაკარგი, %		M, %	t <sub>გაშ.</sub> , °C		მასის დანაკარგი, %	M, %
	I	II	I	II	II	III	IV	IV	IV
NiHSaIF·4H <sub>2</sub> O	95	140	6,45	12,10	11,85	380	480	89,51	78,70
			6,24	12,48	11,66			89,83	78,64
ZnHSaIF·2H <sub>2</sub> O	85	—	6,84	—	12,60	370	470	85,79	80,12
			6,58	—	12,77			85,88	80,35

\* მრიცხველში—ნაბოენია; მნიშვნელში—გამოთვლილია


თერმული მდგრადობის შესწავლამ ნაერთებში წყლის შემცველობის შესახებ დაადასტურა ჩვენს მიერ მიღებული მონაცემების სისწორე.

აქედან გამომდინარე, Ni და Zn-ის სხვადასხვალიგანდიანი ნაერთების წარმოქმნის მექანიზმი პირობითად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, Ni(HSaI)<sub>2</sub>·4H<sub>2</sub>O-ში [9] წყლის ოთხივე მოლეკულა კომპლექსის შიგა სფეროშია და ასეთი აგებულება აქვს:




ჩვენი ნაერთის — NiHSaIF·4H<sub>2</sub>O წარმოქმნისას მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ FH-ის მოქმედებისას pH 8—9-ის პირობებში სალიცილის მჟავამ დაიკავა ორი საკოორდინაციო ადგილი. HSal<sup>-</sup>-ის მეორე მოლეკულა შედარებით ადვილად გამოაძევა FH-მა (ორი საკოორდინაციო ადგილი) და მივიღეთ




ეფიქრობთ, ანალოგიური აღნაგობა უნდა ჰქონდეთ კობალტისა და მანგანუმის დანარჩენ ნაერთებს, შესაძლებელია — სპილენძისასაც.

2. რაც შეეხება თუთიის სალიცილატს — Zn(HSaI)<sub>2</sub>·2H<sub>2</sub>O, ავტორები [10] შემდეგ აღნაგობას აძლევენ:




ჩვენი ნაერთის — ZnHSaIF·2H<sub>2</sub>O შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ FH-ის კომპლექსში შესვლამ ნაერთის შიგა სფეროდან გამოაძევა HSal<sup>-</sup> და შედეგად მივიღეთ:



ანალოგიური აღნაგობა შეიძლება ჰქონდეთ თუთიისა და კადმიუმის ნაერთებსაც სხვა სულფანილამიდებთან, რაც ნაერთთა რენტგენოსტრუქტურულმა ანალიზმაც დაადასტურა.


pH — მეტრული მეთოდით pH — 6,73-ზე შევისწავლეთ სალიცილის მჟავასთან და სულფანილამიდებთან (FH, SH, LH, RH) ლითონთა სხვადასხვალიგანდიანი კომპლექსების შედგენილობა. სატიტრაცი ხსნარის მოცულობა იყო 25 მლ; ტიტრანტი — 0,07807N KOH; ლითონთა მარილებისა და ლიგანდების კონცენტრაცია —  $5 \cdot 10^{-3}$  მოლ/ლ.



ნახ. 3. გატიტრის მრუდები შემდეგი სისტემებისათვის: 1— $\text{H}_2\text{Sal}$ ; 2— $\text{Ni} + \text{H}_2\text{Sal}$ ; 3 —  $\text{FH}$ ; 4 —  $\text{Ni} + \text{FH}$ ; 5 —  $\text{Ni} + \text{H}_2\text{Sal} + \text{FH}$ ;  $C_{\text{Ni}} = C_{\text{Lig}} = 5 \cdot 10^{-3}$  მოლ/ლ (Lig— $\text{FH}$ ;  $\text{H}_2\text{Sal}$ )

ნახ. 3-ზე მოცემულია საკვლევი სისტემის  $\text{Ni}-\text{H}_2\text{Sal}-\text{FH}$  გატიტრის მრუდები. სალიცილის მჟავას ტიტრის მრუდზე (მრუდი 1) დაფიქსირებულია ნახტომი 1,6 მლ ტუტის (1 ეკვ) დანახარჯის დროს, იგი შეესაბამება კარბოქსილის ჯგუფის პროტონის ნეიტრალიზაციას.

სალიცილის მჟავაზე ნიკელის იონების ექვიმოლარული რაოდენობით დამატებისა და ამ სისტემის ტიტრისას (მრუდი 2) pH 6-მდე კარბოქსილის ჯგუფის წყალბადი იტიტრება (1 და 2 მრუდები ამ მონაკვეთში ერთმანეთს ემთხვევა).  $\text{pH} \geq 6$ -ის დროს  $\text{Ni}-\text{H}_2\text{Sal}$  სისტემის გატიტრაზე იხარჯება ტუტის



დამატებითი რაოდენობა, რომელიც ნიკელის მონოსალიცილატის ( $C_6H_4$   $\left\langle \begin{matrix} O \\ COO \end{matrix} \right\rangle Ni$ ) წარმოქმნისას ფენოლის ჯგუფის პროტონის ნეიტრალიზაციას სჭირდება.  $Ni-H_2Sal$ -ის სისტემაზე ~2,5 ექვ. ტუტის დამატებას ( $pH=8-8,5$ ) თან სდევს ლითონის ჰიდროქსიდის წარმოქმნა (რომელიც არ არის ბმული კომპლექსში), ნიკელის მონოსალიცილატის გადასვლა ჰიდროქსიდში ან ნიკელის დისალიცილატის წარმოქმნა (შესაძლოა — სამივე ერთად).

უნდა ვივარაუდოთ, რომ  $pH < 6$ -ის დროს ჭარბობს ნიკელის მონოსალიცილატის, ხოლო  $pH > 6$ -ის დროს — დისალიცილატის წარმოქმნა.

ამრიგად, ნიკელის მონოსალიცილატის ერთი მოლს წარმოქმნისას თავისუფლდება წყალბადის ~2 გ-იონი.


სულფადიმეტოქსინის ტიტვრის მრუდზე (მრუდი 3), რომელიც იწყება  $pH$  6,2-დან,  $NH$  ჯგუფის პროტონის ტიტვრა  $pH \sim 8,5$ -ის დროს (იხარჯება ტუტის ~1 ექვ.) ნახტომით ხდება.




თუ  $FH$ -ის ხსნარს დავამატებთ ნიკელის იონის ექვიმოლარულ რაოდენობას,  $pH$  დაბლა — 5,8-მდე დაიწევს (მრუდი 4). ეს კომპლექსწარმოქმნის ხარჯზე სულფადიმეტოქსინის  $NH$  ჯგუფის პროტონის განთავისუფლების მანიშნებელია.

$pH$  8—8,5-ის დროს და ~2 ექვ. და მეტი ტუტის დამატებისას სისტემაში ჩნდება ნალექი. ვფიქრობთ, იშლება სულფადიმეტოქსინთან ნიკელის მონოკომპლექსი და ნიკელის დისულფადიმეტოქსინატი ან ნიკელის ჰიდროქსიდი (ან ორივე ერთად) წარმოიქმნება.

ამრიგად, ნიკელის მონოსულფადიმეტოქსინატის წარმოქმნისას თავისუფლდება წყალბადის ~1 გ-იონი.

ნიკელი-სალიცილის მყავა-სულფადიმეტოქსინის სისტემის (თანაფარდობა 1:1:1) გატიტვრის მრუდის (მრუდი 5) განხილვისას ჩანს, რომ იგი მრუდ 2-ის ( $Ni+H_2Sal$ ) პარალელურია. ეს გვიჩვენებს, რომ ნიკელი პირველად სალიცილის მყავას უკავშირდება (ჯერ —  $COOH$  ჯგუფით ( $pH \sim 6,5$ ), შემდეგ 6,5—7,5-ის შუალედში  $bma-OH$  ჯგუფთან წარმოიქმნება) იხარჯება რა ტუტის 2 ექვივალენტი. მეორე ნახტომი იწყება ტუტის ~2,5 ექვ.-დან  $pH$  8-ის დროს, რაც შეესაბამება  $FH$ -ის ნიკელთან მიერთებას  $NH$  ჯგუფის წყალბადის ხარჯზე. მაგრამ, რადგანაც სულფადიმეტოქსინი ტუტე არეში განიცდის ტაუტომერიას ( $NH$  ჯგუფიდან წყალბადი გადაინაცვლებს ჰეტეროციკლის აზოტთან), ამიტომ  $FH$ -ის ნიკელთან ბმა განხორციელდება ჰეტეროციკლის აზოტის ატომის საშუალებით. იმის გამო, რომ მრუდი 5  $pH$  7,5-დან დაწყებული 2 და 4 მრუდების პარალელურია (რაც ტუტის ~2 ექვ.-დან იწყება), შეიძლება ითქვას, რომ აქ სალიცილის მყავა  $Sal^{2-}$ -დან  $HSal^-$ -ში გადადის ( $FH$ -ის წყალბადის ხარჯზე) და ამიტომ სალიცილის მყავა-სულფადიმეტოქსინთან ნიკელის ერთი მოლი ხსვადასხვალიგანდიანი კომპლექსის წარმოქმნისას თავისუფლდება წყალბადის არა 3, არამედ 2 გ-იონი, რაც საშუალებას გვაძლევს მისი წარმოქმნა წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემის სახით:





სადაც R არის  $\text{NH}_2\text{-C}_6\text{H}_4$ ; n — ტუტის ექვივალენტის რაოდენობა.

ანალოგიური მრუდები წარმოიქმნება  $\text{M} + \text{AH}$ ;  $\text{M} + \text{H}_2\text{Sal}$  და  $\text{M} + \text{H}_2\text{Sal} + \text{AH}$  ( $\text{M} — \text{Ni, Co, Cu, Zn, Mn, Cd}$ ;  $\text{AH} — \text{SH, FH, LH, RH}$ ) სისტემების გატიტვის დროსაც. დადგენილია, რომ  $\text{M} + \text{AH}$  და  $\text{M} + \text{H}_2\text{Sal}$  სისტემების  $\text{KOH}$ -ით გატიტვისას pH უფრო დაბალია, ვიდრე  $\text{AH}$  და  $\text{H}_2\text{Sal}$ -ის  $\text{KOH}$ -ით გატიტვის pH, ამიტომ ვფარაუდობთ, რომ ლითონები ამ ლიგანდებთან წარმოქმნიან კომპლექს-ნაერთებს.


$\text{M} + \text{H}_2\text{Sal} + \text{AH}$  სისტემის pH კიდევ უფრო დაბალია, ვიდრე  $\text{M} + \text{AH}$  და  $\text{M} + \text{H}_2\text{Sal}$  სისტემებისა, რაც ასევე მიუთითებს სამმაგი სისტემის ყველა კომპონენტის ურთიერთქმედებაზე — სხვადასხვალიგანდიანი კომპლექსის წარმოქმნაზე.

რადგან სალიცილის მყავა ლითონებთან ერთგვაროვან ნაერთებს ~ pH 6—7-ის დროს წარმოქმნის, ხოლო  $\text{AH}$  კი — pH 8-ზე, ამიტომ სხვადასხვალიგანდიანი ნაერთის წარმოქმნისას ლითონს პირველად სალიცილის მყავა უერთდება, ხოლო შემდეგ — სულფანილამიდი (ნახ. 3), რასაც ამ ნაერთების თერმოდინამიკური ადასტურებს: გახურებისას ჯერ სცილდება სულფანილამიდი, შემდეგ კი — სალიცილის მყავა, რადგან ლითონთან მიერთებული სალიცილის მყავას პირველი მოლეკულა ძალიან მდგრად ნაერთს წარმოქმნის. ამაზე კი ის მიუთითებს, რომ დისალიცილატების თერმოდინამიკის [9, 11] დროს  $\text{H}_2\text{Sal}$ -ის ერთი მოლეკულა ენდოთერმულ ( $250\text{—}300^\circ$ ) ეფექტზე სცილდება, ხოლო მეორე — ეგზოთერმულზე ( $400\text{—}500^\circ$ ). ჩვენს მიერ სინთეზირებულ ნაერთებშიც სალიცილის მყავას მოლეკულა ~  $400\text{—}500^\circ$ -ზე და ეგზოთერმულ ეფექტზე სცილდება. ეს გაპირობებული უნდა იყოს მონოსალიცილატის ( $\text{MSal}$ ) წარმოქმნით, სადაც  $\text{H}_2\text{Sal}$  ორმაგადაა დეპროტონირებული  $\text{M} \left\langle \begin{array}{c} \text{O} \\ \text{OOC} \end{array} \right\rangle \text{C}_6\text{H}_4$  რაც ნაერთს მეტ სიმტკიცეს აძლევს.

$\text{M}(\text{HSal})_2 + \text{AH} = \text{MHSalA} + \text{H}_2\text{Sal}$  (1) რეაქციის საფუძველზე სხვადასხვალიგანდიანი ნაერთის წარმოქმნის პროცესის შესწავლის მიზნით გამოვიყვანეთ პოტენციომეტრული გატიტვის მეთოდი. ხსნარები, რომლებიც შეიცავდნენ  $\text{MX}_2 \cdot n\text{H}_2\text{O}$ -ის  $3 \cdot 10^{-3}$  მოლ/ლ-ს, სალიცილის მყავას  $6 \cdot 10^{-3}$

მოლ/ლ-ს და სულფანილამიდის ცვალებად რაოდენობას, გავტრიტრებ:  $0,1N$  KOH-ით და მინის ელექტროდზე  $25^{\circ}$ -ის დროს განვსაზღვრეთ pH. მეთოდი და მდგრადობის მუდმივას გამოსათვლელი ფორმულები მოცემულაა შრომაში [12]. ჩვენს მიერ განსაზღვრულია  $H_2Sal$ -ის დისოციაციის მუდმივათა მნიშვნელობები შემთხვევა ლიტერატურულ მონაცემებს:  $K_1=1,07 \cdot 10^{-3}$  (COOH) და  $K_2=3,6 \cdot 10^{-14}$  (OH) [13]. აგრეთვე პოტენციომეტრული მეთოდით განვსაზღვრეთ სულფანილამიდებთან [14] და სალიცილის მჟავასთან [15] Co, Ni, Cu, Zn და Cd-ის ერთგვაროვანი ნაერთების  $(M(HSal)_2$  და  $MA_2$ ) მდგრადობის მუდმივები ( $Ig\beta$ ). სალიცილის მჟავასთან გარდამავალ ლითონთა  $Ig\beta$  შეესაბამება ლიტერატურულ მონაცემებს (7,85 (Cu); 4,71 (Co); 4,79 (Ni); 4,6 (Zn); 4,2(Cd) [16]).

(1) რეაქციის წონასწორობისა და  $M(HSal)_2$ -ის წარმოქმნის მუდმივების განსაზღვრის საფუძველზე გამოვითვალეთ  $MHSalA$ -ს წარმოქმნის მუდმივა, რომელთა მნიშვნელობები მოტანილია მე-2 ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ შერეული სხვადასხვალიგანდიანი კომპლექსების მდგრადობის მუდმივათა ( $Ig\beta$ ) და დისპროპორტიულობის ( $\log K$ ) მნიშვნელობები იზრდება სულფანილამიდების დისოციაციის მუდმივათა მნიშვნელობების გაზრდასთან ერთად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სხვადასხვალიგანდიანი ნაერთებისათვის სხვადასხვა სულფანილამიდების შემთხვევაში  $Ig\beta/pK$ -ს და  $\log K_a/pK_a$ -ს ერთნაირი მნიშვნელობები აქვთ [17].



ნახ. 4.  $MHSal F \cdot nH_2O$ -თვის  $Ig\beta$ -ს დამოკიდებულება  $pK_a$ -გან 1—Zn; 2—Cd; 3—Ni; 4—Co; 5—Cu

$Ig\beta$  და  $pK_a$ -ს შორის დამოკიდებულება სწორხაზოვანია (ნახ. 4). რადგან  $\log K_a$ -ს მნიშვნელობა ნულზე მეტია, ამიტომ ხსნარში ამ ნაერთთა მდგრადობა  $M(HSal)_2$  და  $MA_2$ -თან შედარებით მაღალია. ამავე მიზეზით და იმის გამოც, რომ სხვადასხვალიგანდიანი კომპლექსების მუდმივათა მნიშვნელობები ახლოსაა  $AH$  და  $H_2Sal$ -თან ლითონთა ერთგვაროვანი კომპლექსების წარმოქ-



მის მუდმივობა საშუალო გეომეტრიულთან (განსხვავება 0,21—0,97-ის ფარგლებშია), შეიძლება დავუშვათ კოორდინაციულ სფეროში სალიცილის მკვასა და სულფანილამიდების თანაარსებობის შესაძლებლობა.

სხვადასხვალიგანდიანი კომპლექსების თერმოდინამიკური ფუნქციების გამოსანგარიშებლად განვსაზღვრეთ წარმოქმნის მუდმივები სხვადასხვა ტემპერატურაზე (25—55°-ის ფარგლებში).  $\Delta G$ ,  $\Delta H$  და  $\Delta S$ -ის მნიშვნელობები მიღებულია შრომაში [18] მოცემული ფორმულების დახმარებით.

ცხრილი 2

MHSaIA-ს წონასწორობის მუდმივობა და დისპროპორციულობის მნიშვნელობები

M		Cu	Co	Ni	Cd	Zn
logK <sub>d</sub>	LH	0,50	0,37	0,30	0,26	0,21
	FH	0,64	0,61	0,38	0,37	0,32
	SH	0,89	0,84	0,64	0,40	0,35
	RH	0,97	0,92	0,60	0,58	0,46
lgβ	LH	9,135	7,025	6,790	6,295	6,150
	FH	9,360	7,170	7,020	6,540	6,360
	SH	9,655	7,520	7,385	6,735	6,510
	RH	10,330	7,720	7,545	6,970	6,780
logK <sub>a</sub> /pK <sub>a</sub>	LH	0,07022	0,05197	0,04213	0,03652	0,02949
	FH	0,08852	0,08437	0,05256	0,05118	0,04426
	SH	0,12076	0,11398	0,08684	0,05427	0,04749
	RH	0,12357	0,11720	0,07643	0,07389	0,05850
lgβ/pK <sub>a</sub>	LH	1,283	0,987	0,954	0,884	0,864
	FH	1,295	0,992	0,971	0,905	0,880
	SH	1,310	1,020	1,002	0,914	0,883
	RH	1,316	0,983	0,961	0,888	0,864

შედეგები მოტანილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

MHSaIA-ს  $\Delta G$  (კჯ/მოლი),  $\Delta H$  (კჯ/მოლი) და  $\Delta S$  (ჯ/მოლი. გრად)-ის მნიშვნელობები 25°-ზე

M	— $\Delta G$				— $\Delta H$				$\Delta S$			
	LH	FH	SH	RH	LH	FH	SH	RH	LH	FH	SH	RH
Cu	52,11	53,39	55,07	58,92	7,16	7,25	7,34	7,45	150,84	154,82	159,83	172,72
Co	40,07	40,90	42,90	44,04	6,55	6,70	6,85	7,01	112,48	114,76	120,97	124,30
Ni	38,73	40,04	42,13	43,04	5,93	6,07	6,20	6,52	110,07	113,99	120,50	122,55
Cd	35,91	37,31	38,42	39,76	5,67	5,78	6,00	6,18	101,48	105,81	108,79	112,68
Zn	35,08	36,28	37,13	38,67	5,34	5,49	5,60	5,74	99,80	103,32	105,81	110,50

Z

ეგზოთერმულ პროცესებში სხვადასხვალიგანდიანი ნაერთების მდგრადობის ზრდას ენტალპიის უარყოფითი და ენტროპიის დადებითი ცვლილებები უწყობს ხელს.

$\Delta H$ -ის მნიშვნელობები ლითონთა სულფანილამიდატებისათვის ნაკლებია, ვიდრე შერეული ნაერთებისათვის რაც სხვადასხვალიგანდიანი კომპლექსების წარმოქმნით შეგვიძლია ავხსნათ.  $\Delta H$  და  $\Delta S$ -ის ცვლილებებს შორის გან-



სხვაგვება სულფანიამიდების ჰეტეროციკლების აგებულების ეფექტის შეიძლება ჩაითვალოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე  $H_2Sal$  და  $AH$ -თან გარდამავალ ლიონთა სხვადასხვალიგანდიანი კომპლექსები წარმოადგენენ შიგაკომპლექსნაერთებს, სადაც სალიცილის მჟავა და სულფანილამიდი დებროტონირებული ბიდენტატური ლიგანდებია. ნაერთთა ოქტაედრული აღნაგობა წყლის ორა მოლეკულითა განპირობებული, ხოლო  $Zn$  და  $Cd$ -ის შემთხვევაში გამორიცხული არ არის ტეტრაედრული აღნაგობაც:  $[MHSal A \cdot 2H_2O] \cdot nH_2O$  და  $[MHSal A] \cdot nH_2O$  ( $M—Zn, Cd$ ).

საქ. მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

შემოსულება 18.03.1991

М. Г. ЦКИТИШВИЛИ, А. Е. ШВЕЛАШВИЛИ, И. И. МИКАДЗЕ,  
М. В. ЧРЕЛАШВИЛИ

**РАЗНОЛИГАНДНЫЕ КОМПЛЕКСНЫЕ СОЕДИНЕНИЯ ПЕРЕХОДНЫХ МЕТАЛЛОВ С САЛИЦИЛОВОЙ КИСЛОТОЙ И СУЛЬФАНИЛАМИДАМИ**

Резюме

Синтезированы разнолигандные комплексные соединения переходных металлов с салициловой кислотой и сульфаниламидами с общей формулой  $MHSalA \cdot nH_2O$ , где  $M—Cu, Ni, Co, Zn, Cd, Mn$ ;  $HSal$  и  $A$  — депротонированные молекулы салициловой кислоты и сульфаниламида (сульфадимезина, норсульфазола, сульфадиметоксина и сульфапиридазина) соответственно;  $n=0,5 \div 5$ . Изучены их некоторые физико-химические свойства. Проведено термографическое, рН-метрическое и потенциометрическое исследования.

рН-метрическим методом изучен состав соединений переходных металлов с  $H_2Sal$  и  $AH$ . Установлено образование соединений с молярным соотношением 1:1:1 в водных растворах и даны возможные схемы образования этих соединений.

Потенциометрическим методом изучено комплексообразование в растворах для системы  $M—H_2Sal—AH$  при разных температурах. Вычислены константы устойчивости и термодинамические функции образующихся соединений.

Изучением термической устойчивости установлен двухступенчатый термолит изучаемых разнолигандных соединений.

М. Г. ТСКИТИШВИЛИ, А. Е. ШВЕЛАШВИЛИ, И. И. МИКАДЗЕ,  
М. В. ЧРЕЛАШВИЛИ

**DIFFERENTIAL LIGANDS COMPLEX COMPOUNDS OF TRANSITIV METALS WITH SALICYLIC ACID AND SULPHANILAMIDES**

Summary

The method of synthesis of new complex compounds of  $MHSalA \cdot nH_2O$  type have been worked out, where  $M—Cu, Ni, Co, Zn, Cd, Mn$ ;  $HSal$  and  $A$ -deprotonated molecules of salicylic acid and sulphanilamide (sulphadimezin, norsulphazol, sulphadimetoxy and sulphapiradazin) accordingly,

$n=0,5 \div 5$ . The composition structure and individuality of these compounds were established by elementary analysis and by determination of physico-chemical properties.

The formation of compounds with molar ratio  $M : H_2Sal : AH = 1 : 1 : 1$  in the water solutions has been established by pH-metric method and possible 8 schemes of their formation are given.

Complexoformation in solutions at different temperatures for  $M-H_2Sal-AH$  system was studied by potentiometric method.

Stability constants and thermodynamic functions of the formed compounds were calculated.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Artesan GmbH Fabrik chem. präparate, РЖХ, 1986, 80266П.
2. Нандзе Кацури, РЖХ, 1988, 20, 397 П.
3. Görska - Raszoroko Iedwiga Maria, РЖХ, 1988, 10 429П.
4. Шакеддиан А. В., Ж. прик., х., 1929, 2, 475.
5. Низельский Ю. М., Ищенко С. С., Липатова Т. Е., РЖХ, 1973, 22 Б, 807.
6. Измайлов Н. А., Черный В. С., ЖФХ, 1960, 34, 319.
7. Вайнберг А. Я., Рословуева Г. И., Самохвалов Г. И., Ж. общ. х., 1973, 43, 3, 688.
8. Rosen William E., Berke Philip A., РЖХ, 1974, 15Н 337П.
9. Харитонов Ю. Я., Туйебахова З. К., ЖНХ, 1984, 29, 5, 1217.
10. Харитонов Ю. Я., Туйебахова З. К., ЖНХ, 1984, 29, 3, 654.
11. Харитонов Ю. Я., Туйебахова З. К., ЖНХ, 1984, 29, 12, 3030.
12. Цкитишвили М. Г., Микадзе И. И., Чрелашвили М. В., Изв. АН ГССР, сер. хим., 1985, II, 3, 172.
13. Харитонов Ю. Я., Туйебахова З. К., Коорд. хим., 1983, 9, II, 1512.
14. შველაშვილი ა., ცქიტიშვილი მ., მოქაბე ი., ჭრელაშვილი მ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ქიმიის სერია. 1991, 17, 3, 167.
15. Россоти Ф., Россоти Х., Определение констант устойчивости и других констант равновесия в растворах, М.: Мир, 1965, 115.
16. Peggин D. D., РЖХ, 1959, № 52894.
17. Пупликова О. Н., Акимова Л. Н., Савич М. А., Вестник Московского ун-та, 1966, 3, 106.
18. Яцимирский К. Б., Васильев В. П., Константы нестойкости комплексных соединений, АН СССР, Изд., М.: 1959, 57.



УДК 541.182:537.363

С. А. КОНИАШВИЛИ, Р. О. БУАДЗЕ, З. Р. УЛЬБЕРГ

## МЕТАЛЛОПОЛИМЕРНЫЕ ПОКРЫТИЯ НА ОСНОВЕ СПЛАВА МЕДЬ—ОЛОВО

Металлополимерные покрытия, содержащие полимеры и высокодисперсные металлы, находят применение в качестве электропроводящих грунтов при получении покрытий с высокими антикоррозионными и электроизоляционными свойствами [1, 2]. Более широкое варьирование свойств становится возможным при использовании в их составе сплавов металлов [1, 3]. Применение принципа электрофорезо-электрохимического осаждения дисперсий полимеров и металлов при выделении в осадок последних в виде высокодисперсных частиц позволяет реализовать два важных аспекта в рамках этой проблемы. Первый связан с изучением процесса сплавообразования, совместного электролитического осаждения двух металлов в условиях соосаждения с дисперсиями полимеров, обладающих определенным положительным зарядом. Второй — определяет формирование металлополимерного материала равномерного состава на электроде.

Цель настоящей работы состояла в изучении особенностей электрохимического формирования в виде высокодисперсных частиц сплава Cu—Sn и получения металлополимерных покрытий на их основе.

Металлополимерные покрытия получали путем совместного электрофоретического осаждения дисперсий эпоксидной смолы и электролитического выделения меди и олова. Дисперсии эпоксидной смолы (Э-41) готовили путем смешивания ее ацетоновых растворов с водой. По данным электронно-микроскопического анализа средней радиус сферических частиц полимера составляет  $2,5 \cdot 10^{-7}$  м. Положительный заряд частиц полимера формировался путем ориентированной адсорбции двучетвертичного аммониевого соединения (ПАВ) [4] и составлял 20—45 мВ. Электрофоретическая подвижность частиц полимера определялась методом подвижной границы. Осаждение металлов меди и олова проводили из растворов  $\text{Cu}(\text{HCOO})_2$  и  $\text{SnCl}_2$  с концентрацией 10—20 г/л.

В присутствии электролитов значения  $\zeta$ -потенциала частиц смолы в значительной степени снижаются с повышением содержания соли металла. В табл. 1 приведены данные о величине  $\zeta$ -потенциала частиц эпоксидной смолы в дисперсиях, содержащих ПАВ и  $\text{SnCl}_2$ . В области малых содержаний электролита наблюдается повышение электрокинетического потенциала. Первый эффект при концентрации  $10^{-3}$ — $10^{-2}$  моль/л обусловлен сжатием диффузионной части двойного слоя частиц. Наблюдаемый рост  $\zeta$ -потенциала при содержании  $\text{SnCl}_2$   $10^{-5}$ — $10^{-4}$  моль/л связан с адсорбцией катионов металла на поверхности частиц полимера. Синергический эффект повышения заряда частиц при введении четвертичных аммониевых соединений и катионов металлов, в данном случае ко-ионов, показаны в работах [1, 5].

Исследования порошков Cu—Sn проводились на установке для рентгеноструктурного и рентгеноспектрального анализов Т и R M62 с гониометром HCG-3 и измерительной стойкой, включающей в себя

линейный усилитель-анализатор VA—V—100, счетчик 10 МГц VA—G-120, измеритель плотности импульсов VA—Д-440. В качестве источника рентгеновского излучения использовалась трубка с Fe-антикатодом, линия K $\beta$  рентгеновского излучения отсекалась Mn-фильтром. Напряжение на трубке — 40 кВ, ток трубки — 10 мА. Зондирование интерференционного поля от образца проводилось пропорциональным счетчиком А-Z-523 при напряжении на счетчике — 1940 В, скорость зондирования 0,5 град/мин в углах  $\Theta$ .

Качественный и количественный рентгеновский фазовый анализ проводился по методике, описанной в [6, 7]. Идентификация порошковых рентгенограмм проводилась по карточке [8].




Рис. 1. Дифрактограммы металлополимерных осадков на основе меди и олова, полученных при концентрациях электролита; 1 — 4; 2 — 5; 3 — 6; 4 — 8; 5 — 10; 6 — 12 г/л.

Для проведения анализа образцы высушивались и запрессовывались в препаратодержатель установки. Съемка длилась 60 мин. Повторный анализ не показывал изменения фазового состава исследуемых образцов.

Исследования показали, что проведение процесса выделения металла по электрофорезо-электрохимическому методу в условиях максимальных диффузионных ограничений и резко выраженной «электрофоретической» поляризации, обусловленной осаждением дисперсии полимера, приводит к сближению потенциалов выделения металлов. В результате потенциалы выделения электроположительных металлов,

например, меди настолько возрастают, что становятся равными или часто превышают потенциалы выделения типично отрицательных металлов (в нашем случае — олова). Так, потенциал выделения меди в присутствии двучетвертичного аммониевого соединения сдвигается в отрицательную область на 220 мВ, а при добавлении полимера — на 450—600 мВ с изменением его концентрации от 0,5 до 1,2%.


Рассмотрим последовательно влияние основных факторов на процессе совместного выделения меди и олова, в том числе концентрации дисперсной фазы, заряда частиц, концентрации электролита. Общей тенденцией наблюдаемых закономерностей являлось сочетание в составе осадков металлополимеров большого количества оксидов различного состава  $\text{Cu}_2\text{O}$ ,  $\text{CuO}$ ,  $\text{SnO}_2$ . На рис. 1 представлены дифрактограммы образцов металлополимеров, полученных из дисперсий с различным содержанием электролита. Соотношение  $\text{Cu}(\text{HCOO})_2/\text{SnCl}_2$  составляет 1:1 при общей концентрации 20 г/л. Слабая интенсивность рефлексов на рентгенограммах свидетельствует о том, что размеры блоков мозаики, составляющих частицу осадка весьма малы, близки к пределу их рентгеноаморфности. Этот предел составляет величину порядка  $(50-60) \cdot 10^{-10}$  м или 50—60 Å.

Во всех исследуемых образцах обнаружена фаза  $\beta\text{-CuSn}$ . Ее максимальное проявление отмечено при невысоких содержаниях электролита в дисперсиях 4—8 г/л (кривые 1—4). Фаза  $\beta\text{-CuSn}$  обнаруживается на всех образцах, однако величина рефлекса изменяется в соответствии с изменением содержания электролитов в дисперсии, что является следствием различной степени дисперсности блоков мозаики частиц осадка. С повышением концентрации солей меди и олова с большей интенсивностью проявляются оксиды  $\text{Cu}_2\text{O}$  (максимальный рефлекс), а также  $\text{CuO}$  и  $\text{SnO}_2$ , что может быть обусловлено недостаточным экранированием электрода и образующегося осадка ПАВ и полимером.

Т а б л и ц а 1

Зависимость  $\zeta$ -потенциала частиц эпоксидной смолы от концентрации двучетвертичного\* аммониевого соединения и электролита

$C_{\text{ПАВ}}$ (% по отношению к дисперсной фазе)	0,2	0,3	0,4	0,5	0,6	0,8	0,9	0,0
$\xi$ -потенциал, мВ	13,0	18,2	21,3	26,8	32,0	40,5	45,6	44,8
$C$ электролита $\text{SnCl}_2$ , моль/л	0	$10^{-6}$	$2 \cdot 10^{-6}$	$10^{-5}$	$1 \cdot 10^{-3}$	$2,6 \cdot 10^{-3}$		$10^{-2}$
$\zeta$ -потенциал, мВ	33,8	38,9	41,4	42,5	45,5	32,1	коагуляция	



Концентрация электролита в дисперсии для электроосаждения и ее оптимальное значение определяют соотношение между полимером и металлом в составе образующегося осадка, а также фазовый состав его металлической составляющей. Так, повышение концентрации электролита приводит, как видно из табл. 1, к снижению  $\zeta$ -потенциала частиц полимера и, соответственно, значений критерия поляризации последних  $\text{Rel}^*$ . Следствием этого является усиление взаимодействия

\* Критерий поляризации  $\text{Rel} = \frac{-\zeta}{\kappa \cdot \alpha}$ , где  $\kappa^{-1}$  — дебаевский радиус экранирования;

$\alpha$  — размер частиц.

Изменение соотношения  $\text{Cu}_2\text{O}/\text{Cu}$  при варьировании концентрации электролита в дисперсии\*)

Содержание электролита, г/л	4	5	6	8	10	12
Соотношение $\text{Cu}_2\text{O}/(\text{CuSn}+\text{Cu})$ , %	59,2	64,3	49,0	38,0	60...80	69,0
Содержание металла в осадке, %	10,7	16,3	21,6	30,9	43,8	54,6

\*) Соотношение  $\text{Cu}(\text{HCOO})_2/\text{SnCl}_2$  равно 1 : 1

между полимерными частицами (гомокоагуляция), а не полимерной частицы с металлической (гетерокоагуляция) [1]. Рост металлических частиц при этой ситуации не блокируется, что приводит к увеличению содержания металла в осадке (табл. 2) и образованию большого количества оксидов в его составе, как это показано ниже.




Рис. 2. Изменение соотношения  $\text{Cu}_2\text{O}/\text{Cu}$  (1) и  $\text{SnO}_2/\text{Sn}$  (2) в составе металлополимерных осадков в зависимости от концентрации электролита в дисперсии для электроосаждения

Полученные нами результаты приведены в табл. 2. Минимальное содержание оксидов меди отмечено при концентрации электролита 6—8 г/л.

Аналогичные результаты получены при рассмотрении окисления олова. В табл. 3 представлены данные о соотношении содержания в

